



საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო გამოცემების
სტატიის წარმოდგენის წესები

სტატიები რედაქციას ან კონკრეტული გამოცემის სარედაქციო საბჭოს შესაძლებელია მიეწოდოს დადგენილი წესების მიხედვით.

სტატიებისა და ფოტომასალის მოცულობა მკაცრად რეგლამენტირებული არ არის. წარმოდგენილი სტატია უნდა იყოს ორიგინალური და ქვეყნდებოდეს პირველად. სტატიები განიხილება სარედაქციო საბჭოს მიერ და ქვეყნდება მხოლოდ საბჭოს თანხმობით.

დოქტორანტებმა და მაგისტრანტებმა სტატიასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სტატიის შესახებ ხელმძღვანელის/ დარგის სპეციალისტის წერილობითი დასკვნა ნაშრომის რაობის, მნიშვნელობისა და დასაბეჭდად მზაობის შესახებ.

სტატიის წარმოდგენის ფორმა

- სტატია რედაქციას მიეწოდება ორ ეგზემპლარად, ელექტრონული (ტექსტი word-ის, ფოტოები jpg ან tiff ფაილებად) და ფურცელზე ამონაბეჭდის სახით.
- ავტორის გვართან მიეთითოს ინსტიტუცია, რომელსაც ის წარმოადგენს;
- ტექსტის შრიფტი და ზომა — Acadnux, 12, სქოლიო — 10;
- ტექსტს უნდა დაერთოს სქოლიოები და ბიბლიოგრაფია.
- **ბიბლიოგრაფია** დაეწყოს ანბანის მიხედვით (ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური).
- ფოტომასალას დაერთოს განმარტებების ნუსხა. ფოტოები დაინომროს, ნომრები მიეთითოს ტექსტში სათანადო ადგილას.
- სტატიას დაერთოს **REZUME არანაკლებ 1 გვერდის** მოცულობით (სასურველია ინგლისურ ენაზე, შრიფტი და ზომა - Times New Roman, 12).

სქოლიო

- **სქოლიო** დაერთოს გვერდებს;
- **სქოლიოში** მითითებული ინფორმაცია (ავტორი, წიგნის, სტატიის დასახელება და ა.შ.) გამოიყოს მძიმეებით და დასრულდეს წერტილით;
- დახრილით (*Italic*) გამოიყოს — წიგნის, პერიოდული გამოცემის (ჟურნალი, გაზეთი), კრებულის, კონფერენციის და სადისერტაციო ნაშრომის სათაურები.

მაგალითად,

კიკნაძე ვ., *ქართული დრამატული თეატრის ისტორია*, ტ. I, თბ., 2003, გვ. 317.

Goodman L., *Contemporary feminist theatres: to each her own*, Routledge, London 1993, p. 18.

ოჩიაური ლ., სოციალისტური რეალიზმიდან პოსტმოდერნამდე, *სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი*, 4 (37), 2008, გვ. 212.

კინწურაშვილი ქ., გიორგი ალექსი-მესხიშვილი - თამაშის სტიქია როგორც ტექსტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2010, გვ. 260.

- წინადადების სქოლიოს ნიშნით დასრულების შემთხვევაში, სქოლიოს აღმნიშვნელი ნომერი მოექცეს წერტილის შიგნით.

მაგალითად,

თანამედროვე კულტურაში გაპიროვნება გონის ტრადიციად განიხილება, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაშიც არ დავშორებდით¹.

¹ გაპიროვნებას, როგორც კულტურის ფენომენის აუცილებელ ატრიბუტს განიხილავს ჰაიზინგა. იხ.: ი. ჰაიზინგა, კაცი მოთამაშე. კულტურის თამაშში წარმოშობის შესახებ, თბ., 2004, გვ. 184.